

საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული
და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის №1/2023 გადაწყვეტილება

2023 წლის 6 მარტი

ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის განახლების თაობაზე
სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტი

ითვალისწინებს რა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, კერძოდ კი 55-ე და 65-ე მუხლებს,

იმის გათვალისწინებით, რომ:

(1) ასოცირების შესახებ შეთანხმების, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის^[1] (შეთანხმება) ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან.

(2) შეთანხმების 55(1) მუხლი ითვალისწინებს, რომ საქართველომ ეტაპობრივად უნდა განახორციელოს მისი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული და ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, როგორც ეს განსაზღვრულია შეთანხმების XI-B დანართში.

(3) შეთანხმების 65-ე მუხლით დაფუძნდა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტი (SPS ქვეკომიტეტი), რომელმაც უნდა განიხილოს ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია შეთანხმების კარი IV-ის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-4 თავთან (სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები), მათ შორის მისი დანერგვა და, ასევე, შეუძლია გადახედოს და ცვლილებები შეიტანოს შეთანხმების დანართ XI-B-ში.

(4) ევროკავშირი-საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის ^[2] №1/2017 გადაწყვეტილების მიღების შემდგომ შეთანხმების XI-B დანართში ჩამოთვლილი კავშირის რიგი სამართლებრივი აქტები გააუქმდა და ზოგი გაუქმებული სამართლებრივი აქტი ჩანაცვლდა ახალი აქტით, ხოლო სხვა აქტებმა ამოწურა მათი სამართლებრივი მოქმედება. ამასთან, მხარეები მიიჩნევენ, რომ რამდენიმე აქტი არ არის რელევანტური საქართველოსთვის იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე.

(5) ამდენად, აუცილებელია შეთანხმების XI-B დანართის განახლება იმ მიზნით, რომ მასში აისახოს ცვლილებები კავშირის *acquis* შესაბამისად და მოხდეს მათი ჩანაცვლება. ასევე, მიზანშეწონილია საქართველოს განესაზღვროს ვადა შიდა კანონმდებლობაში ახალი სამართლებრივი აქტების დასაახლოვებლად. შესაბამისად, მასში უნდა მიეთითოს საქართველოს საკანონმდებლო აქტების ხელშეკრულების XI-B დანართში ჩამოთვლილ კავშირის სამართლებრივი აქტებთან დაახლოების ახალი ვადები.

(6) მიზანშეწონილია, SPS ქვეკომიტეტმა მიიღოს გადაწყვეტილება და განაახლოს შეთანხმების XI-B დანართი, სადაც გათვალისწინებული იქნება ამ გადაწყვეტილების დანართით განსაზღვრული სია,

[1] OJ L 261, 30.08.2014, გვ. 4 .

[2] ევროკავშირი-საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2017 წლის 7 მარტის №1/2017 გადაწყვეტილება ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის განახლების



მიიღო გადაწყვეტილება:

მუხლი 1

ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შორის XI-B დანართი განახლდეს ამ გადაწყვეტილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამტკიცების დღეს.

შესრულებულია ქ. თბილისში, 6 მარტი 2023 წელი.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის სახელით

თანათავმჯდომარეები:

ნინო თანდილაშვილი

კოენ ვან დუკ

მდივნები:

ლაშა ინაური

იან ბლოემენდალი

„დანართი

ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის განახლება

ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართი განახლდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

დანართი XI-B

ევროკავშირის კანონმდებლობის ჩამონათვალი, რომელსაც საქართველომ უნდა დაუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა

ამ შეთანხმების 55 (1) მუხლის შესაბამისად, საქართველომ უნდა დაუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის შემდეგ კანონმდებლობას ქვემოთ განსაზღვრულ ვადებში.



	ევროკავშირის კანონმდებლობა	დაახლოების საბოლოო ვადა
	სექცია 1 - ვეტერინარია	
1.	2000 წლის 17 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1760/2000 რეგულაცია, რომელიც აარსებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების სისტემას და აუქმებს საბჭოს №820/97 რეგულაციას.	2015
2.	2001 წლის 22 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №999/2001 რეგულაცია, რომელიც ადგენს ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლის და აღმოფხვრის წესებს.	2016
3.	2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1069/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების მქონე პროდუქტების და მათგან ადამიანის მოხმარებისთვის არგანკუთვნილი ნაწარმოები პროდუქტებისათვის ჯანმრთელობის დაცვის წესებს და აუქმებს (EC) №1774/2002 რეგულაციას.	2017
4.	2012 წლის 25 თებერვლის კომისიის (EU) №142/2011 რეგულაცია, რომლითაც სრულდება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1069/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების მქონე პროდუქტებისა და მათგან ადამიანის მოხმარებისთვის არგანკუთვნილი ნაწარმოები პროდუქტებისათვის ჯანმრთელობის დაცვის წესებს და სრულდება საბჭოს 97/78/EC დირექტივა, ამ დირექტივის შესაბამისად საზღვარზე ზოგიერთი ნიმუშების და საგნების ვეტერინარული შემოწმებიდან ამოღების შესახებ.	2017
5.	2003 წლის 17 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/99/EC დირექტივა ზოონოზების და ზოონოზური აგენტების მონიტორინგის თაობაზე, რომელსაც ცვლილება შეაქვს საბჭოს 90/424/EEC გადაწყვეტილებაში და აუქმებს საბჭოს 92/117/EEC დირექტივას.	2017
6.	2009 წლის 6 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს და საბჭოს (EC) №470/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტებში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ნარჩენების ლიმიტს, აუქმებს საბჭოს (EEC) №2377/90 რეგულაციას და ცვლილება შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/82/EC დირექტივაში და ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №726/2004 რეგულაციაში.	2018
7.	2003 წლის 17 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №2160/2003 რეგულაცია სალმონელასა და სხვა განსაზღვრული საკვებისმიერი ზოონოზური აგენტების კონტროლის შესახებ.	2019
8.	2006 წლის 1 აგვისტოს კომისიის (EC) №1177/2006 რეგულაცია ქათმებში სალმონელას კონტროლის ეროვნული პროგრამების ფარგლებში სპეციალური კონტროლის ღონისძიებების განხორციელებისადმი არსებული მოთხოვნების თაობაზე ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №2160/2003 რეგულაციის იმპლემენტაციის შესახებ.	2019



9.	2006 წლის 11 დეკემბრის კომისიის 2006/130/EC დირექტივა სურსათის მწარმოებელი ცხოველებისათვის ზოგიერთი სამედიცინო ვეტერინარული პრეპარატის ვეტერინარული რეცეპტის მოთხოვნისგან გათავისუფლების მიზნით კრიტერიუმების დადგენის თაობაზე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/82/EC დირექტივის იმპლემენტაციის შესახებ.	2019
10.	2005 წლის 12 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №183/2005 რეგულაცია ცხოველის საკვების ჰიგიენური მოთხოვნების თაობაზე.	2019
11.	2007 წლის 14 თებერვლის კომისიის (EC) №141/2007 რეგულაცია, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №183/2005 რეგულაციის თანახმად, ცხოველის საკვების დამამზადებელი ან კოკციდიოსტატიკის და ჰისტომონოსტატიკის კატეგორიის ცხოველის საკვების დანამატების ბაზარზე განმთავსებელი საწარმო დაწესებულებების აღიარების მოთხოვნის შესახებ.	2019
12.	კომისიის 1982 წლის 23 ივნისის 82/475/EEC დირექტივა, რომელიც ადგენს შინაური ცხოველებისათვის გამიზნული ნარევი საკვების ეტიკეტირებისთვის გამოსაყენებელი ინგრედიენტების კატეგორიებს.	2020
13.	2009 წლის 13 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №767/2009 რეგულაცია ცხოველის საკვებისა ბაზარზე განთავსებისა და გამოყენების თაობაზე, ცვლილება შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1831/2003 რეგულაციაში და აუქმებს საბჭოს 79/373/EEC დირექტივას, კომისიის 80/511/EEC დირექტივას, საბჭოს 82/471/EEC, 83/228/EEC, 93/74/EEC, 93/113/EC და 96/25/EC დირექტივებსა და კომისიის 2004/217/EC გადაწყვეტილებას.	2020
14.	2011 წლის 14 იანვრის კომისიის 2011/25/EU რეკომენდაცია ადგენს ცხოველის საკვები ნივთიერებების, ცხოველის საკვების დანამატების, ბიოციდური პროდუქტებისა და სამედიცინო ვეტერინარული პროდუქტების სახელმძღვანელოს.	2020
15.	2013 წლის 16 იანვრის კომისიის (EU) №68/2013 რეგულაცია ცხოველის საკვები ნივთიერებების კატალოგის შესახებ.	2020
16.	2009 წლის 27 იანვრის კომისიის (EC) №152/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის მიზნით ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდებს.	2021
17.	2003 წლის 22 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1831/2003 რეგულაცია ცხოველის კვებაში დანამატების გამოყენების თაობაზე.	2021
18.	2008 წლის 25 აპრილის კომისიის EC) №429/2008 რეგულაცია ცხოველის საკვები დანამატების შეფასებისა და აღიარების მიზნით აპლიკაციის მომზადებისა და წარდგენის თაობაზე ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1831/2003 რეგულაციის განხორციელების დეტალური წესების თაობაზე.	2021
19.	2015 წლის 10 აგვისტოს კომისიის (EU) 2015/1375 რეგულაცია, რომელიც ადგენს ხორცში ტრიქინელოზის კონტროლის სპეციფიკურ წესებს.	2021



20.	1998 წლის 20 ივლისის საბჭოს 98/58/EC დირექტივა ფერმერული მეურნეობისთვის გამიზნული ცხოველების დაცვის შესახებ.	2022
21.	2008 წლის 18 დეკემბრის საბჭოს 2008/119/EC დირექტივა, რომელიც ადგენს ხბოთა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს.	2022
22.	2008 წლის 18 დეკემბრის საბჭოს 2008/120/EC დირექტივა, რომელიც ადგენს ღორების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს.	2022
23.	2009 წლის 24 სექტემბრის საბჭოს (EC) №1099/2009 რეგულაცია დაკვლისას ცხოველთა დაცვის თაობაზე.	2022
24.	2002 წლის 30 იანვრის კომისიის 2002/4/EC დირექტივა კვერცხისმდებელი დედლების სადგომი დაწესებულებების რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც დადგენილია საბჭოს 1999/74/EC დირექტივით.	2022
25.	2007 წლის 28 ივნისის საბჭოს 2007/43/EC დირექტივა ადგენს მეხორცული ჯიშის ქათმების დაცვის მინიმალური წესებს.	2022
26.	1997 წლის 25 ივნისის საბჭოს (EC) №1255/97 რეგულაცია შვებულების პუნქტების ევროკავშირის კრიტერიუმების შესახებ და ცვლილება შეაქვს 91/628/EEC დირექტივის დანართში მოცემულ სამარშრუტო გეგმაში.	2022
27.	2004 წლის 22 დეკემბრის საბჭოს (EC) №1/2005 რეგულაცია ტრანსპორტირებისას და მსგავსი მოქმედებებისას ცხოველთა დაცვის თაობაზე და ცვლილება შეაქვს 64/432/EEC და 93/119/EC დირექტივებსა და (EC) №1255/97 რეგულაციაში.	2022
28.	1999 წლის 19 ივლისის საბჭოს დირექტივა 1999/74/EC, რომელიც ადგენს კვერცხმდებელი დედლების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს.	2023
29.	2013 წლის 4 თებერვლის კომისიის რეგულაცია (EU) №101/2013, რომელიც ეხება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტან-ხორცის ზედაპირზე მიკრობიოლოგიური დაბინძურების შემცირების მიზნით რემეჯავის გამოყენებას.	2023
30.	რეგულაცია (EU) 2019/4 სამკურნალო საშუალებების შემცველი ცხოველის საკვების წარმოების, ბაზარზე განთავსების და გამოყენების შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №183/2005 რეგულაციას და აუქმებს საბჭოს 90/167/EEC დირექტივას.	2023
31.	2002 წლის 7 მაისის ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2002/32/EC, რომელიც ეხება არასასურველ ნივთიერებებს ცხოველის საკვებში.	2023
32.	კომისიის 2022 წლის 4 თებერვლის (EU) 2022/160 განმარტებული რეგულაცია, რომელიც ადგენს გარკვეული ოფიციალური კონტროლის მინიმალურ სიხშირეს ევროკავშირის ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/625 რეგულაციის შესაბამისად და აუქმებს (EC) №1082/2003 და (EC) №1505/2006 რეგულაციებს.	2023
33.	კომისიის 2020 წლის 30 იანვრის (EU) 2020/692 დელეგირებული რეგულაცია, რომელიც ემატება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/429 რეგულაციას გარკვეული ცხოველების, ჩანასახოვანი პროდუქტების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირში შეტანის, ასევე შეტანის შემდეგ გადაადგილების და დამუშავების შესახებ.	2024
34.	(EU) 2019/6 რეგულაცია ვეტერინარული სამკურნალო პროდუქტების შესახებ, რომელიც აუქმებს 2001/82/EC დირექტივას.	2024



35.	2022 წლის 4 თებერვლის კომისიის რეგულაცია (EU) 2022/671, რომელიც ემატება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2017/625 რეგულაციას ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და ჩანასახებზე კომპეტენტური ორგანოების მიერ განხორციელებული ოფიციალური კონტროლის კონკრეტულ წესებთან დაკავშირებით, ასევე კომპეტენტური უწყების მიერ განსახორციელებელ შემდგომ ზომებზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის და თხის იდენტიფიკაციის და რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან ზოგიერთი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ევროკავშირის გავლით ტრანზიტის დროს დარღვევების შემთხვევაში და აუქმებს კომისიის (EC) №494/98 რეგულაციას.	2024
36.	2019 წლის 17 დეკემბრის კომისიის რეგულაცია (EU) 2020/687, რომელიც ემატება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/429 რეგულაციას გარკვეული ჩამოთვლილი დაავადებების პრევენციის და კონტროლის წესების შესახებ.	2025
37.	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 9 მარტის (EU) 2016/429 რეგულაცია ცხოველთა გადამდები დაავადებების შესახებ და ცხოველთა ჯანმრთელობის სფეროში გარკვეული აქტების შესწორების და გაუქმების შესახებ („ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ კანონი“).	2025
38.	2020 წლის 16 დეკემბრის (EU) 2020/2235 კომისიის განმარტებული რეგულაცია, რომელიც ადგენს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/429 და (EU) 2017/625 რეგულაციების მოქმედების წესებს ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატებთან, ოფიციალურ სერტიფიკატებთან და ცხოველთა ჯანმრთელობის/ოფიციალურ სერტიფიკატებთან დაკავშირებით, გარკვეული კატეგორიის ცხოველების და საქონლის ევროკავშირში შეტანასა და მის ტერიტორიაზე გადაადგილებასთან, ოფიციალურ სერტიფიკატებთან დაკავშირებით და აუქმებს (EC) №599/2004 რეგულაციას, (EU) №636/2014 და (EU) 2019/628 განმარტებულ რეგულაციებს, 98/68/EC დირექტივას და 2000/572/EC, 2003/779/EC და 2007/240/EC გადაწყვეტილებებს.	2025
39.	კომისიის 2019 წლის 28 ივნისის (EU) 2019/2035 დელეგირებული რეგულაცია, რომელიც ემატება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/429 რეგულაციას ხმელეთის ცხოველების და საინკუბაციო ობიექტების შესახებ, ასევე გარკვეული ხმელეთის ცხოველების და საინკუბაციო კვერცხების მიკვლევადობის შესახებ.	2026
40.	2021 წლის 15 აპრილის კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2021/620, რომელიც ადგენს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/429 რეგულაციის გამოყენების წესებს ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს ან მათი ზონების დაავადების არარსებობის და ვაქცინაციის სტატუსის დამტკიცების შესახებ და ჩამოთვლილი დაავადებების აღმოფხვრის პროგრამების დამტკიცების შესახებ.	2026
41.	2019 წლის 17 დეკემბრის კომისიის დელეგირებული რეგულაცია (EU) 2020/689, რომელიც ემატება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/429 რეგულაციას, მეთვალყურეობის და აღმოფხვრის პროგრამების წესების და ზოგიერთი ჩამოთვლილი და განვითარებადი დაავადებების არარსებობის სტატუსის შესახებ.	2026
42.	2021 წლის 24 მარტის კომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2021/404 რეგულაცია, რომელიც ეხება მესამე ქვეყნების, ტერიტორიების ან ზონების სიებს, საიდანაც ნებადართულია ცხოველების, ჩანასახოვანი პროდუქტების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ევროკავშირში შეტანა ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/429 რეგულაციის შესაბამისად.	2027
43.	1990 წლის 26 ივნისის საბჭოს 90/428/EEC დირექტივა, შეჯიბრებებში მონაწილე ცხენებით ვაჭრობის შესახებ და ადგენს შეჯიბრებების ჩატარების პირობებს.	2027



44.	2020 წლის 16 დეკემბრის კომისიის განმარტებული (EU) 2020/2236 რეგულაცია, რომელიც ეხება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/429 და (EU) 2017/625 რეგულაციების მოქმედების წესებს ევროკავშირში შესაყვანად ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატების ფორმების შესახებ და ევროკავშირის ტერიტორიაზე წყლის ცხოველების და ცხოველური წარმოშობის გარკვეული პროდუქტების გადაადგილებისთვის, ასევე ოფიციალური სერტიფიცირების წესებს და აუქმებს (EC) №1251/2008 რეგულაციას.	2027
45.	2015 წლის 17 თებერვლის (EU) 2015/262 კომისიის განმარტებული რეგულაცია, რომელიც ეხება ცხენისებრთა ოჯახის წარმომადგენლების იდენტიფიკაციის მეთოდებს საბჭოს 90/427/EEC და 2009/156/EC დირექტივების შესაბამისად.	2027
46.	2020 წლის 4 მარტის კომისიის (EU) 2020/354 განმარტებული რეგულაცია, რომლითაც მტკიცდება კონკრეტული საკვები მიზნებისთვის განკუთვნილი ცხოველთა საკვების მიზნობრივი გამოყენების ჩამონათვალი და უქმდება 2008/38/EC დირექტივა.	2028
47.	2016 წლის 8 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/1012 რეგულაცია სუფთა სისხლის საჯიმე ცხოველების, ჰიბრიდული საჯიმე ღორების და მათი ჩანასახოვანი პროდუქტებით ვაჭრობის და ევროკავშირში შეყვანის ზოოტექნიკური და გენეალოგიური პირობების შესახებ და ცვლილებები შეაქვს (EU) №652/2014 რეგულაციაში, საბჭოს 89/608/EEC და 90/425/EEC დირექტივებში და აუქმებს ცხოველთა მოშენებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ აქტს („რეგულაცია ცხოველთა მოშენების შესახებ“).	2028
სექცია 2 – სურსათის უვნებლობა		
48.	2002 წლის 28 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №178/2002 რეგულაცია, რომელიც ადგენს სურსათის კანონმდებლობის ზოგად პრინციპებსა და მოთხოვნებს, აფუძნებს ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს და ადგენს პროცედურებს სურსათის უვნებლობის საკითხებზე.	2015
49.	2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №852/2004 რეგულაცია სურსათის პროდუქტების ჰიგიენის შესახებ.	2015
50.	2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №853/2004 რეგულაცია, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალურ წესებს.	2015
51.	2005 წლის 15 ნოემბრის კომისიის (EC) №2073/2005 რეგულაცია სურსათის პროდუქტებში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ.	2015
52.	2005 წლის 5 დეკემბრის კომისიის №2074/2005 რეგულაცია, რომელიც ადგენს განმარტებულ ღონისძიებებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №853/2004 რეგულაციით გათვალისწინებული გარკვეული პროდუქტებისთვის და ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №854/2004 რეგულაციის შესაბამისად ოფიციალური კონტროლის განხორციელებისთვის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №852/2004 რეგულაციისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №882/2004 რეგულაციის დეროგაციისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №853/2004 რეგულაციისა და (EC) №854/2004 რეგულაციაში შესწორების შეტანის მეშვეობით	2015
53.	2011 წლის 19 სექტემბრის კომისიის (EU) №931/2011 განმარტებული რეგულაცია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №178/2002 რეგულაციით დადგენილი მიკვლევადობის მოთხოვნების შესახებ	2015
54.	1997 წლის 27 ოქტომბრის კომისიის 97/747/EC გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს ზოგიერთ ცხოველურ პროდუქტში განსაზღვრული ნივთიერებებისა და მათი ნარჩენების მონიტორინგისთვის საბჭოს 96/23/EC დირექტივით გათვალისწინებული სინჯის აღების დონეებსა და სიხშირეს.	2015



55.	1996 წლის 29 აპრილის საბჭოს 96/22/EC დირექტივა მესაქონლეობაში ჰორმონული ან თიროსტატიკური მოქმედების განსაზღვრული ნივთიერებებისა და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის შესახებ და აუქმებს 81/602/EEC, 88/146/EEC და 88/299/EEC დირექტივებს.	2015
56.	1993 წლის 8 თებერვლის საბჭოს (EEC) №315/93 რეგულაცია, რომელიც ადგენს სურსათში დამაბინძურებლებისთვის ევროკავშირის პროცედურებს.	2015
57.	2006 წლის 19 დეკემბრის კომისიის (EC) №1881/2006 რეგულაცია, რომელიც ადგენს სურსათის პროდუქტებში გარკვეული დამაბინძურებლების ზღვრულ დონეებს.	2015
58.	2005 წლის 23 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №396/2005 რეგულაცია, რომელიც ადგენს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათში და ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების ზღვრულ დონეებს და ცვლილება შეაქვს საბჭოს 91/414/EEC დირექტივაში.	2016
59.	2011 წლის 25 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) №1169/2011 რეგულაცია მომხმარებლისათვის სურსათთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ, რომელსაც ცვლილება შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1924/2006 და (EC) №1925/2006 რეგულაციებში და აუქმებს კომისიის 87/250/EEC დირექტივას, საბჭოს 90/496/EEC დირექტივას, კომისიის 1999/10/EC დირექტივას, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/13/EC დირექტივას, კომისიის 2002/67/EC და 2008/5/EC დირექტივას და კომისიის (EC) №608/2004 რეგულაციას.	2016
60.	2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1924/2006 რეგულაცია კვებით ღირებულებასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების სურსათზე განთავსების შესახებ.	2016
61.	2012 წლის 8 ნოემბრის კომისიის (EU) №1047/2012 რეგულაცია, რომელსაც ცვლილება შეაქვს (EC) №1924/2006 რეგულაციაში კვებითი ღირებულების მონაცემების სიის შესახებ.	2016
62.	2013 წლის 24 იანვრის კომისიის 2013/63 განმარტებული გადაწყვეტილება, რომელიც იღებს სახელმძღვანელოებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1924/2006 რეგულაციის მე-10 მუხლით დადგენილი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების სპეცილური პირობების დანერგვის მიზნით.	2016
63.	2008 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1333/2008 რეგულაცია საკვებდანამატების შესახებ.	2016
64.	2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1925/2006 რეგულაცია სურსათში ვიტამინების, მინერალებისა და გარკვეული სხვა ნივთიერებების დამატების შესახებ.	2016
65.	2009 წლის 30 ნოემბრის კომისიის (EC) №1170/2009 რეგულაცია, რომელსაც ცვლილება შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/46/EC რეგულაციასა და (EC) №1925/2006 რეგულაციაში, იმ ვიტამინების და მინერალების სიისა და მათი ფორმების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაემატოს საკვებს საკვები დანამატების ჩათვლით.	2016
66.	2009 წლის 22 დეკემბრის კომისიის (EU) №37/2010 რეგულაცია ფარმაცოლოგიურად აქტიური ნივთიერებებსა და მათი კლასიფიკაციის შესახებ ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების ზღვრულად დასაშვები რაოდენობების შესახებ.	2016



67.	2006 წლის 23 თებერვლის კომისიის (EC) №401/2006 რეგულაცია, რომელიც ადგენს სინჯის აღებისა და გამოკვლევის ჩატარების მეთოდებს სურსათში მიკოტოქსინების დონის ოფიციალური კონტროლის მიზნით.	2016
68.	2007 წლის 28 მარტის კომისიის (EC) №333/2007 რეგულაცია, რომელიც ადგენს სურსათში ტყვიის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, არაორგანული კალის, 3-MCPD-ის და ბენზ(ა)პირენის დონის სახელმწიფო კონტროლის მიზნით სინჯის აღებისა და გამოკვლევის ჩატარების მეთოდებს.	2016
69.	2011 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/91/EU დირექტივა საიდენტიფიკაციო აღნიშვნებისა და ნიშნების შესახებ, რომელიც მიუთითებს სურსათის კუთვნილებას ამა თუ იმ პარტიისადმი.	2017
70.	1992 წლის 14 ნოემბრის საბჭოს 92/608/EEC გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს უშუალოდ ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი, თერმულად დამუშავებული რძის ანალიზისა და დატესტვის მეთოდებს.	2017
71.	2000 წლის 28 მარტის კომისიის (EC) №645/2000 რეგულაცია, რომელიც ადგენს საბჭოს 86/362/EEC დირექტივის მე-7 მუხლისა და საბჭოს 90/642/EEC დირექტივის მე-4 მუხლის განსაზღვრული დებულებების გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო დეტალურ განმარტებულ წესებს ბურლულეულში და მცენარეული წარმოშობის პროდუქტში, მათ შორის ხილსა და ბოსტნეულში, პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დონის მონიტორინგისთვის საჭირო ღონისძიებებს.	2017
72.	2012 წლის 11 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) №307/2012 რეგულაცია, რომელიც ადგენს განმარტებულ წესებს ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) №1925/2006 რეგულაციის სურსათში ვიტამინების, მინერალებისა და გარკვეული სხვა ნივთიერებების დამატების შესახებ მე-8 მუხლის გამოყენების მიზნით.	2017
73.	2013 წლის 12 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) №609/2013 რეგულაცია ჩვილი და მცირე ასაკის ბავშვებისთვის სპეციალური სამედიცინო მიზნებისა და წონის კონტროლის მიზნით მთლიანი საკვები რაციონის ჩანაცვლებისთვის განკუთვნილი სურსათის შესახებ და აუქმებს საბჭოს 92/52/EEC დირექტივას, კომისიის 96/8/EC, 1999/21/EC, 2006/125/EC და 2006/141/EC დირექტივებს, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/39/EC დირექტივას და საბჭოსა და კომისიის (EC) №41/2009 და (EC) №953/2009 რეგულაციებს.	2017
74.	2004 წლის 27 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1935/2004/EC რეგულაცია სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და ნივთების შესახებ, რომელიც აუქმებს 80/590/EEC და 89/109/EEC დირექტივებს.	2018
75.	2003 წლის 22 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1830/2003 რეგულაცია გენმოდულირებული ორგანიზმების მიკვლევადობისა და მარკირების, გენმოდულირებული ორგანიზმებიდან ნაწარმოები სურსათისა და ცხოველის საკვების მიკვლევადობის შესახებ და ცვლილება შეაქვს 2001/18/EC დირექტივაში.	2018
76.	2004 წლის 4 ოქტომბრის კომისიის 2004/787/EC რეკომენდაცია (EC) №1830/2003 რეგულაციის კონტექსტიდან გამომდინარე გენმოდულირებული ორგანიზმების და გენმოდულირებული ორგანიზმებიდან ან მათი შემცველობის მქონე პროდუქტიდან წარმოებული მასალის სინჯის აღებისა და აღმოჩენის ტექნიკური სახელმძღვანელოს შესახებ.	2018
77.	2003 წლის 22 სექტემბრის ევროპის პარლამენტის და საბჭოს (EC) N1829/2003 რეგულაცია გენმოდულირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ.	2018
78.	2012 წლის 9 მარტის კომისიის (EU) №231/2012 რეგულაცია, რომელიც ადგენს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1333/2008 რეგულაციის II და III დანართებში მოცემული საკვებდანამატების სპეციფიკაციებს.	2019



79.	2015 წლის 25 ნოემბრის (EU) 2015/2283 რეგულაცია ახალი სასურსათო პროდუქტების შესახებ, რომელსაც ცვლილებები შეაქვს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) №1169/2011 რეგულაციაში და აუქმებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №258/97 რეგულაციას და კომისიის (EC) №1852/2001 რეგულაციას.	2019
80.	1997 წლის 29 ივლისის კომისიის 97/618/EC რეკომენდაცია იმ ინფორმაციის მეცნიერული ასპექტების და პრეზენტაციის შესახებ, რომელიც აუცილებელია ახალი სახეობის სურსათისა და საკვები ინგრედიენტების ბაზარზე განსათავსებლად საჭირო განცხადებების მხარდასაჭერად და საწყისი შეფასების ანგარიშების მოსამზადებლად ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №258/97 რეგულაციის შესაბამისად.	2019
81.	2006 წლის 22 დეკემბრის კომისიის (EC) №2023/2006 რეგულაცია სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და ნივთების კარგი საწარმოო პრაქტიკის შესახებ.	2019
82.	2004 წლის 6 აპრილის კომისიის (EC) №641/2004 რეგულაცია, (EC) №1829/2003 რეგულაციის იმპლემენტაციის დეტალური წესების შესახებ, რომელიც შეეხება ახალი გენმოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების ავტორიზების გამოყენებას და არსებული პროდუქტისა და გენმოდიფიცირებული ნივთიერების, რომელსაც ხელი შეეწყო შესაბამისი რისკის შეფასების მეშვეობით, შემთხვევითი ან ტექნიკურად გარდაუვალი არსებობის შეტყობინებას.	2019
83.	2013 წლის 27 მარტის კომისიის 2013/165 რეკომენდაცია მარცვლეულსა და მარცვლეულის პროდუქტებში T-2 და HT-2 ტოქსინების შესახებ.	2019
84.	2008 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1332/2008 რეგულაცია საკვები ფერმენტების შესახებ და ცვლილება შეაქვს საბჭოს 83/417/EEC დირექტივაში, საბჭოს (EC) №1493/1999 რეგულაციაში, 2000/13/EC დირექტივაში, საბჭოს 2001/112/EC დირექტივასა და (EC) №258/97 რეგულაციაში.	2020
85.	2008 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტის და საბჭოს (EC) №1334/2008 რეგულაცია სურსათში/ზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებების მქონე გარკვეული სურსათის ინგრედიენტების შესახებ და ცვლილება შეაქვს საბჭოს 1601/91 რეგულაციაში, (EC) №2232/96 და (EC) 110/2008 რეგულაციებში და 2000/13/EC დირექტივაში.	2020
86.	2012 წლის 1 ოქტომბრის კომისიის (EU) №873/2012 რეგულაცია, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) №1334/2008 რეგულაციის პირველი დანართით მოცემული არომატიზატორების ერთიან სიასთან და საწყის ნივთიერებებთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებების შესახებ.	2020
87.	1978 წლის 30 იანვრის საბჭოს 78/142/EEC დირექტივა სურსათთან შეხებაში მყოფი ვინილ-ქლორიდის მონომერის შემცველი მასალებისა და ნივთების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის დაახლოების თაობაზე.	2020
88.	1992 წლის 13 იანვრის კომისიის 92/2/EEC დირექტივა ადგენს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სწრაფად გაყინული სურსათის ტემპერატურის ოფიციალური კონტროლის განხორციელებისათვის სინჯის აღების პროცედურებსა და ანალიზის ერთიან მეთოდებს.	2020
89.	1988 წლის 21 დეკემბრის საბჭოს 89/108/EEC დირექტივა ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სწრაფად გაყინული სურსათის შესახებ დაკავშირებულ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე.	2020
90.	2005 წლის 12 იანვრის კომისიის (EC) №37/2005 რეგულაცია ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სწრაფად გაყინული სურსათის ტრანსპორტირების, დასაწყობების და შენახვის ადგილებში	2020



	ტემპერატურის მონიტორინგის შესახებ.	
91.	2012 წლის 1 ოქტომბრის კომისიის (EU) №872/2012 განმარტებული რეგულაცია, ამტკიცებს არომარტიზატორი ნივთიერებების სიას, რომელიც განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №2232/96 რეგულაციით, შეაქვს ეს სია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №1334/2008 რეგულაციის დანართი I-ში და აუქმებს კომისიის (EC) №1565/2000 რეგულაციას და კომისიის 1999/217/EC გადაწყვეტილებას.	2021
92.	2003 წლის 10 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №2065/2003 რეგულაცია სურსათში ან სურსათზე შესაბოლოად გამოყენებული ან გამოყენებისთვის განკუთვნილი არომარტიზატორების შესახებ.	2021
93.	2013 წლის 10 დეკემბრის კომისიის (EU) №1321/2013 განმარტებული რეგულაცია, რომელიც აყალიბებს შესაბოლოად გამოსაყენებელი არომარტიზატორების პირველადი პროდუქტების ერთიან ჩამონათვალს, რომელთა გამოყენება ნებადართულია სურსათში ან სურსათზე და/ან მათგან მიღებული შესაბოლოი არომარტიზატორების წარმოებაში.	2021
94.	1993 წლის 15 მარტის კომისიის 93/11/EEC დირექტივა N-ნიტროზამინების და N-ნიტროზული ნივთიერებების პოლიმერებიდან ან რეზინის საწოვარებიდან გამოყოფის შესახებ.	2021
95.	2005 წლის 18 ნოემბრის კომისიის (EC) №1895/2005 რეგულაცია სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და ნივთების შემადგენლობაში გარკვეული ეპოქსიდური წარმონაქმნების გამოყენების შეზღუდვის შესახებ.	2021
96.	2006 წლის 19 დეკემბრის კომისიის (EC) №1882/2006 რეგულაცია, ადგენს განსაზღვრულ სურსათში ნიტრატების დონის სახელმწიფო კონტროლის მიზნით სინჯის აღებისა და ანალიზის ჩატარების მეთოდებს.	2021
97.	1986 წლის 11 სექტემბრის კომისიის 86/474/EEC გადაწყვეტილება არა-წვერი ქვეყნებიდან იმპორტის დროს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის და ახალი ხორცის ადგილზე ინსპექტირების განხორციელების შესახებ.	2022
98.	2002 წლის 10 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/46/EC დირექტივა საკვების დანამატების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის დაახლოების თაობაზე.	2022
99.	2011 წლის 14 იანვრის კომისიის (EU) №10/2011 რეგულაცია სურსათთან შეხებაში მყოფი პლასტმასის მასალებისა და ნივთების შესახებ.	2022
100.	ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009/54/EC დირექტივა ბუნებრივი მინერალური წყლების მოპოვებისა და ბაზარზე გატანის შესახებ.	2022
101.	2003 წლის 16 მაისის კომისიის 2003/40/EC დირექტივა, ადგენს ბუნებრივი მინერალური წყლების შემადგენელი კომპონენტების ჩამონათვალს, კონცენტრაციის დონეებისა და მარკირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ბუნებრივი მინერალური წყლებისა და წყაროს წყლების ოზონით გამდიდრებული აირით დამუშავების პირობებს.	2022
